



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-895/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.  
„საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების  
მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის  
გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 22 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“ ხელმძღვანელის დანიელ დავითაშვილის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 22 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №6318) შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** გაუქმდეთ რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის №02-537/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებლებს:

1. №24 - გოჩა ჩართოლანს;
2. №49 - გოჩა შუბითიძეს.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის მდივანი**

**გიორგი ჯავახიშვილი**